

მთავარი თემა



კაზრეთის მედიაგია კვლავაც დისკუსიის საგნად რჩება

ცისანა შერგილაშვილი 28 მარტი 2014 20:52:26

კაზრეთში მიღწეულ შეთანხმებაზე კვლავაც არსებობს კითხვები, რომლებიც პასუხების გაცემას ითხოვს. რამდენად ეფექტურად წარმართა მედიაგის პროცესი და გათვალისწინებული იქნა თუ არა მაქსიმალურად გაფიცულების ინტერესები, ამ თემაზე სასაუბროდ 27 მარტს კლუბ "ფრონტალინიში" შეიკრიბნენ პროფკავშირების, სახელმწიფოს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.



"ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" ადამიანის უფლებების პროგრამის ხელმძღვანელი ლინა ღვინიაიძის თქმით, მედიაგია ყველა მუშისთვის სასურველი შედეგებით არ დასრულდება. მუშების 6 მოთხოვნიდან მხოლოდ 3 დაკმაყოფილდა. გათავისუფლებული მუშები სრულად არ აღადგინეს სამსახურში. საუბარია 137 ადამიანზე. 80 ადღებდა, დანარჩენი 57 დარჩა სამსახურის გარეშე, გარკვეული სამართლებრივი გარანტიებით.

მედიაგის პროცესში სახელმწიფომ კომპანიის მიერ ფინანსური კრიზისის შესახებ მოწოდებული ინფორმაცია გაითვალისწინა და არ გადაამოწმა ნამდვილად ჰქონდა თუ არა ოქროს მომპოვებელ კომპანიას ფინანსური პრობლემები. სწორედ ამ მოტივით ვერ

მიიღწა შეთანხმება გათავისუფლებული თანამშრომლების სრულად აღდგენის თაობაზე. საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელის ირაკლი პეტრიაშვილის თქმით, მათ ხელი არ მიუწვდებოდათ კომპანიის ფინანსურ დოკუმენტაჟზე. იგივე განაცხადა პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა სოციალურ საკითხებში ბექა ნაცვლიშვილმა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ სახელმწიფოს კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციის მოთხოვნის და მიღების ყოველგვარი საშუალება და უფლებამოსილება აქვს.

კომპანიას რომ ფინანსური კრიზისი არ აქვს, ამას ამტკიცებენ კაზრეთის გაფიცვაში მონაწილე დალი მამულაშვილი და გიორგი აზარაშვილიც. მათი თქმით, საწარმოში ახალ-ახალი ადამიანები აპყავთ და ხშირ შემთხვევაში ორმაგ ანაზღაურებასაც უხდიან. "თუ კომპანიას ფული არ აქვს, მაშინ როგორღა იღებს ახალ თანამშრომლებს?" - კითხულობს დალი მამულაშვილი.

კომპანია "RMG გოლდის" მიერ გაერცელებულ ინფორმაციას ფინანსური კრიზისის შესახებ ეჭვის თვალთ უყურებს ლინა ღვინიაიძეც. "კომპანიის 2013 წლის გათვლებს თუ ნახავთ, იქ უწერიათ, საყდრისის საქმე რომ მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, ეს მოიტანდა 7-8 თვიან სტაბილურობას, 700 დასაქმებულს 1000 ლარიანი ხელფასებით. საყდრისის ბედი კომპანიის სასარგებლოდ გადაწყდა, მან მიიღო იქ ოქროს მოპოვების ლიცენზია, მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო მონიტორინგის ქვეშ, მაგრამ კომპანია ისევ აცხადებს, რომ აქვს ფინანსური კრიზისი", - ამბობს ადამიანის უფლებების პროგრამის ხელმძღვანელი.

პროფკავშირების ხელმძღვანელი ირაკლი პეტრიაშვილი კაზრეთელებს პასუხობს, რომ როგორც კი დადასტურდება, რომ კომპანიამ სხვა თანამშრომელი დასაქმა და უპირატესობა არ მიანიჭა გათავისუფლებულ პირებს, რაზეც მედიაგის ფარგლებში მოეწერა ხელი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო გამოძიებას საქმეს. პეტრიაშვილის თქმით, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება ხელშეკრულების პირობების დარღვევას, რაზეც სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოციალურ საკითხებში ბექა ნაცვლიშვილი მოლაპარაკებებში მონაწილეობდა და მედიაგის წარმატებულად აფასებს. თუმცა კითხვაზე, თუ რატომ არ ჩაერთო აქამდე სახელმწიფო პრობლემის მოგვარებაში (შეგახსენებთ, რომ კაზრეთში მუშათა გაფიცვა 14 თებერვალს დაიწყო და 24 მარტს მედიაგის შემდეგ შეწყდა. მხარეთა შორის მედიაგის შედეგად ასეთია: RMG Gold-სა და RGM Copper -ის ადმინისტრაცია სამსახურში აღადგინა 2014 წლის იანვარში სამსახურიდან გათავისუფლებულ 80 თანამშრომელს. დანარჩენ მუშებს კომპანია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დაბრუნებს საწარმოში. მათ გაფიცვის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში, კომპენსაციის სახით, ორი თვის ხელფასი გადაეცემათ), ნაცვლიშვილი პასუხობს:

"სიტუაცია როცა დაიძაბა, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მედიაგის ინსტიტუტი იქნებოდა ყველაზე უპირანი. ასე სწრაფად მედიატორზე შეთანხმება ვერ მოხდა. ამაზე გვჭირდებოდა როგორც დასაქმებულების, ასევე დასაქმებულების თანხმობა, ცალმხრივი მედიაგია არ არსებობს, ორივე მხრიდან ნდობა უნდა ჰქონოდა მედიატორს".

მოლაპარაკებების პროცესს რომ ეჭვის ქვეშ აყენებდნენ, ამაზე "გურია ნიუსისთვის" ბევრჯერ განუცხადებიათ კაზრეთელებს. მათი თქმით, თავად მუშების წარმომადგენლები, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას, პროფკავშირების მხრიდან ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ და ბევრ კაზრეთელს მათი ნდობა არ აქვს.

გიორგი აზარაშვილი "ფრონტალინიში" გამართული შეხვედრითაც უკმაყოფილო დარჩა.

"ეს შეხვედრა ისევე დამთავრდა, როგორც ჩვენი მოლაპარაკებები. კარგად მოისმინეთ თქვენც, რა არგუმენტები ჰქონდათ. ამბობენ, რომ კომისია შეიქმნა და ამას დიდი მიღწევას უწოდებენ. კომისია იქნებოდა მთელი წლების



ოფორული ზონის საიდუმლო _ რატომ ირჩევენ მას ცნობილი




საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე ნგრევითი სამუშაოები დაიწყო



რა განსხვავებაა "ნაციონალისტის" და "ოცნების" ე.წ. "ოონდერებს"



რა ქონებას ფლობს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის



პრემიერმა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის




ლანჩხუთში "ქართული ოცნების" შტაბს გიორგი ხელაძე უხელმძღვანელებს?



პრემიერმა ნარმანიას მინისტრის პოსტზე ნაყოფიერი მუშაობისთვის



ნარმანია თანამდებობას ტოვებს



ვინ დაესწრება ლანჩხუთში ლელოს?




"უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის გამოყოფილი 9 მლნ ლარი



ელგუჯა ხოკრიშვილს განათლება გერმანიაში აქვს მიღებული



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 15 ივნისს



„საქართველოს განვითარების ბანკის შექმნა გამართლებელია“



აგუბა: ფინანსური მონიტორინგის სამსახური პროკურატურის

მანძილზე, ჩვენ ვამბობდით, რომ ყველა გათავისუფლებული უპირობოდ თუ არ აღდგებოდა სამსახურში, ჩვენ შევწყვეტდით მოლაპარაკებას. ეჭვი მაქვს, რომ ისინი, ვინც ხელი მოაწერა, გადაიბირეს და ძალით მოაწერინეს ხელი. იმათი ერთადერთი პასუხი იყო, რომ მთავრობას მეტი არ შეუძლია. მე ვეუბნებოდი, რომ შესაძლებელია, მაგრამ მაინც მოაწერეს ხელი".

საბოლოოდ, შეხვედრაზე, სადაც RMG გოლდის წარმომადგენლები არ მივიდნენ, დასმული შეკითხვებს არ გაცვა ამომწურავად პასუხები. ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება დარჩა არასამთავრობო სექტორს.

"თურმე პროცესის გამჭვირვალობა იმაში გამოიხატება, რომ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოგიცხადებენ და ეს ყოფილა მთელი დემოკრატია. სახელმწიფო უწყების წარმომადგენლისგან მივიღეთ მხოლოდ კრიტიკა იმაზე, რომ ჩვენ მათ ვაკრიტიკებთ არგუმენტების გარეშე. მაგრამ, სამწუხაროდ, არგუმენტების მოსმენა არ მოინდომეს. მედიაციის პროცესში არ იქნა საფუძვლიანად გამოკვლეული საწარმოს არგუმენტები, იმის შესახებ რომ იყო რეალურად ფინანსური კრიზისი და ამიტომ გაათავისუფლეს ის ადამიანები. გაირკვა, რომ უამრავი გარემოება, რომელსაც ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში არ იქნა გამოკვლეული. აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაკლებად ეფექტური იყო მედიაცია და ბევრად მეტის მიღწევა შეიძლებოდა ამ ადამიანების პროტესტის დასაცავად", _ აღნიშნა "შწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა ნინო გუჯარაიძემ.

Tweet 2 G+1 0

Like Share 112

საინფორმაციო



შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო



უგულავას სიმამრს 3 დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

არქივი

მიხილილ სააპაგვილმა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტებს ვიძო დახადო 2013-04-23 20:38:43

საქართველოს პრეზიდენტმა, დღეს გამოიყენა




საქართველოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული...

ოფორბეთში საყოველთაო ნათლობა ჩატარდა 2014-01-19 16:22:47

ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბუჯის სანაპიროზე შემოქმედის ეპარქიის სასულიერო პირებმა საყოველთაო...



ინფრასტრუქტურის საპინისტრო "ნახმოძრაობის" გაშორებით კანდიდატისგან ბოლიჩის მოხდას ითხოვს 2013-04-24 18:21:01



გუშინ ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის თოქ-შოუ "პოზიციამი" ნამალადევის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ერთიანი...

კომე კუბლაშვილის კომენტარი ბურამ დონაძის ბირაოთი ბათავისუფლებზე 2013-02-19 22:07:32



გურამ დონაძის გიროს სანაცვლოდ გათავისუფლების გამო სასამართლო კიდევ ერთხელ გახდა კრიტიკის საგანი. "გურია ნიუსმა"...

მასალების გამოყენებისას აუცილებელია რედაქციის ნებართვა

74 User Online 2657224 TOP.GE 4655 1645